საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 19 სექტემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სა[?]ღლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 212 — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა — № 212

გულ დამწვარნი დედა ხიხო, ძმები: ოაქ[?]ნ, გრიგორი და ლევან, მეუღლე ვა[?]ო, რძლები ეკატერინე და დარო მირინაშვილები, დაი ანნა და სიძე გიორგი მამაცაშვილები, სიმამრი ნიკო და სიდედრი ანნა კარდ[?]ახლიშვილები უწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს 20 ენკენისთვეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი

**ნიკოლოზ მ ლაქი ს ძის მ რ ნაშვილის**

სულის მოსახსენებლათ. წირვა და პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე.

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 17 სექტემბერს ს. ნანეულში თავის სახლში გარდაიცვალა ექიმი

**ბესარიონ ვ[?]ჩეიშვილი**

რასაც მწუხარებით უწყებენ თავის ნათესავებს და მეგობრებს მამა იორდანე, ძმა ლევანი და ძმის წული შურა ვაჩეიშვილები. დაკრძალვა 20 სექტემბერს. (2—1)

**იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ**

**ვ. რუხაძის** მესამე წიგნი

**„ცხოვრების ყვავილები“**

(ლექსები).

## დამფუძნებელ კრების მუშაობის განახლება.

ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფო რესპუბლიკაა, რომელშიაც უნდა განვამტკიცოთ ხალხის ხელ წიფება, მაგრამ [illegible]

[illegible]

## პრესის მიმოხილვა

[illegible]

## უახლესი ცნობები

[illegible]

## დეპეშები

[illegible]

# დღეს

16 სექტემბერს პსკოვში დაიწყო საბჭოთა და რეველის მთავრობათა წარმომადგენლების საზავო მოლაპარაკება.

ბოლშევიკების ცნობით მტრის აეროპლანები კრონშტადტს ყუმბარებს ესვრიან.

მორავიის ქვა-ნახშირის რაიონში გამართული საკავშირთაშორისო კომისიის სხდომები, რომელიც ანტანტის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით ხდებოდა, გერმანიის დელეგატებმა მიატოვეს.

ჩერნიგოვის რაიონში საბჭოთა ჯარი კიევის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 60 ვერსტზე იბრძვის. ბრძოლაა აგრეთვე კალაჩის და მდ. ხოპერის რაიონში.

ბაქოს გაზეთების გადმოცემით დაღესტანში აჯანყება დაიწყო მოხალისეთა წინააღმდეგ. მთის რაიონებიდან მოხალისეთა ჯარი სრულიად გამოდევნეს,

---

ლდაკის პრეზიდენტათ გინდენბურგს ასახელებს და მის სასარგებლოდ აგიტაციას აწარმოებს. **ჰელსინგფორსი**, ენკ. 12. იორკშირის მაღაროებში გაფიცვა უკვე 3 კვირა გრძელდება. გაფიცულები აცხადებენ, რომ არაფერს არ დათმობენ. მთავრობის დამოკიდებულება გაფიცულთა მიმართ უცვლელია. ის თანახმაა მოუმატოს ჯამაგირები საშუალო რიცხვით 12 პროც. სამთო მუშების გაფიცვების გამო შეფილდის მრეწველებს 200,000-მდე გირვ. სტერლინგი ზარალი აქვთ დღეში.

**მოსკოვი**. ენკ. 17. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, ერთი პირის ორ დაწესებულებაში სამსახური შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს აუცილებელი სპეციალური ცოდნა. **მოსკოვი**. ენკ. 17. ესტლანდიის პროლეტარიატი თავისი მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვს დაუყოვნებლივ ზავის შეკვრას საბჭოთა რუსეთთან. **მოსკოვი**. ენკ. 17. გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობით, საბჭოთა რუსეთისა და რეველის მთავრობასთან მოლაპარაკება პსკოვში 16 სექტემბერს დაიწყო. **ჩერნიგოვი**. ენკ. 11. კიევიდან მოსული ამხანაგების ცნობით პეტლიურამ ქალაქი დიდხანს ვერ იჭირა. მეორე დღეს მოსულმა დენიკინის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ გალიციელებს და პეტლიურას ჯარს დაუყოვნებლივ დაეტოვებიათ კიევი. მოთხოვნილებას მხარი დაუჭირეს მოკავშირეებმა, რომლებიც დენიკინის შტაბთან ერთად მოვიდნენ. გალიციელები ამ მოთხოვნილებას ხმა ამოუღებლივ დამორჩილდნენ. პეტლიურას ჯარი შეეცადა პროტესტის განცხადებას, მაგრამ კატეგორიული მოთხოვნილების შემდეგ იძულებული შეიქნა დაეტოვებია ქალაქი, რომელიც დენიკინის უფლებაში გადავიდა.

**მოსკოვი**. ენკ. 17. სამხედრო ცნობა. (მიღებულია გამოტოვებით). ვოლგის ნოვგოროდის მიმართულებით 25 ვერსზე ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა კიევის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 50 ვერსზე ოსტერი და კოზელეცი დაიჭირა. სამხრეთის ფრონტი. (გამოტოვებულია.) კალაჩის და მდ. ხოპერის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება. თურქესტანის ფრონტი. ურალსკის რაიონში მდ. ურალის მარცხენა ნაპირზე მდ. ბარატასტაუს რაიონში ურალსკიდან სამხრეთ დასავლეთით 20—25 ვერსზე დრო გამოშვებით სროლაა. დანარჩენ ადგილებზე მდგომარეობა უცვლელია.

### გერმანული ქაისრის სურათები

პრუსიის სახალხო განათლების მინისტრის ბრძანებამ სკოლებში მეფეების სურათების ჩამოხსნის შესახებ, ინციდენტი გამოიწვია. ახალი ბრძანებით მინისტრი განმარტავს, რომ მხოლოდ ექს-კაიზერის და ექს-პრინცის სურათები უნდა ჩამოიხსნას, ყოველ შემთხვევაში არა იმ პირთა, რომელთა მოღვაწეობის მნიშვნელობა ისტორიამ დააფასა. ახალი ბრძანების გამოცემა გამოწვეული იყო იმით, რომ რიცა ფრიდრიხ დიდის, ბარონ შტეინის და სხვა პირთა და მათ შორის ჰინდენბურგის სურათები ჩამოხსნეს, მოწაფეებმა დემონსტრაცია მოახდინეს.

მორავიის ქვა ნახშირის რაიონში საკავშირთა შორისო ნახშირის მაღაროს კომისიის სხდომები ხდება.

გერმანიის მთავრობამ განსაკუთრებულ მოწოდების მიღებასთანავე გაგზავნა იქ ორი თავისი დელეგატი. გადაწყვეტილია დამხმარე კომისიის შედგენა, რომელშიაც შევლენ გერმანელების, პოლონელების და ჩეხების რესპუბლიკათა წარმომადგენლები. თავმჯდომარეთ იქნება ანტანტის წარმომადგენელი. უნდა გამომუშავებულ იქნას ნახშირის განაწილების გეგმა ზემო სილეზიაში, დომბროვის რაიონში და ჩეხოსლოვაკების რესპუბლიკაში. გერმანელების დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი დამხმარე კომისიის დანიშვნის გეგმას ვერ დაეთანხმებიან, რადგან ზემო-სილეზიაში ქვა ნახშირის განაწილება ეკუთვნის მხოლოდ გერმანელებს, სანამ გერმანიას ამ პროვინციაში აქვს სუვერენული უფლება და ამასთანავე მსგავსი თამაშირი არ შეიძლება სწარმოებდეს ანტანტის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. გერმანიის დელეგატებმა სხდომა მიატოვეს.

ჟორჟ ბერნჰარდი სწერს „ფოსიშე ცაიტუნგში" საფრანგეთის პალატაში წარმოთქმულ (გვარი გამოტოვებულია) განცხადების შესახებ: „უნდა სიამოვნებით ავღნიშნოთ ის გარემოება, როგორც დიდი ნაბიჯი წინ, საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების საქმეში, რომ საფრანგეთის მინისტრი ვერ ჰპოვებს წინააღმდეგობას გერმანია-საფრანგეთის ეკონომიურ ალორძინების საკითხში. დროთა ვითარებამ ახალი მდგომარეობა შეჰქმნა. ორი მეზობელი ნაცია, რომელნიც მრავალ ათეულ წელთა განმავლობაში მტრულად იყვნენ განწყობილნი და ერთმანეთს ვერ დაუახლოვდნენ, დღეს ბედისაგან ერთ ტაფაში არიან მოქცეულნი. უკეთუ საფრანგეთი ხელს გაუწვდის და ეკონომიურათ წამოაყენებს გერმანიას, ამით ის დაიბრუნებს გერმანიისაგან (დამახინჯებულია).

გერმანიის კანცლერმა ბაუერმა ჟენევაში საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტს წერილობით მიმართა, რომელშიაც სხვათა შორის სწერს: წითელი ჯვრის კომიტეტმა გამომიგზავნა მე წერილის თარგმანი, რომელიც გაგზავნილი იყო მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს სახელზე, სადაც სამხედრო ტყვეების შინ დაბრუნების ნების მიცემას მოითხოვდნენ. ეს აქტი ახალი ნათელი საბუთია ნამდვილი ჰუმანიური მოქმედებისა, რომელიც წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს არას დროს არ აკლდა, განსაკუთრებით წარსული ომის ხანაში. თუ ეხლა მოკავშირეებმა გადასწყვიტეს სამხედრო ტყვეების შინ დაბრუნება, ეს ეჭვს გარეშე დამოკიდებული იქნება წითელი ჯვრის კომიტეტის ამ საქმეში ჩარევისაგან. გულით და მადლობას უძღვნი გერმანიის მთავრობას, გერმანიის ეროვნულ ყრილობის, სამხედრო ტყვეების და მათი ოჯახების სახელით.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

— **დამფუძნებელი კრების მუშაობის განახლება.** დღეს, დილის 11 ს. დანიშნულია დამფუძნებელი კრების მეორე სესიის პირველი სხდომა.

— **სამხედრო წესები გამოცხადდა.** მთავრობის დადგენილებით, დუშეთის მაზრაში.

— **ვ. ჟუჟიაშვილის და შ. სამათაძის დაკრძალვა.** 18 სექტემბერს, დაკრძალეს ტრაგიკულად დაღუპულნი შოფერი ვასო ჟუჟიაშვილი და მისი თანაშემწე შალვა სამათაძე. სამგლოვიარო პროცესიას აუარებელი ხალხი დაესწრო, იყო ჯარის ნაწილიც, სამხედრო მუსიკა. კუბოები მრავალი გვირგვინებით იყო შემკობილი.

— **იმ ენერგიული ზომებისათვის,** რომელიც მიღებულ იქნა ქალაქის და სისხლის სამართლის მილიციის მიერ გენ. ბარათოვის და ოდიშელიძის მოკვლის განმზრახველთა წინააღმდეგ, რის შედეგიც იყო ერთ ბოროტ-მოქმედის მოკვლა და ამ დროს ქუჩებში სრული წესრიგის დაცვა, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი გულითად მადლობას უცხადებს ქალაქის და სისხლის სამართლის მილიციის ხელმძღვანელთ სულაქველიძეს და ფაჩულიას და აგრეთვე ყველა წევრთ მილიციისა, რომლებმაც კი მონაწილეობა მიიღეს ბოროტ-მოქმედთა შესაპყრობათ. ხოლო მილიციონერს გელოვანს და ჩხარტიშვილს, მათი განსაკუთრებულ გმირულ საქციელისთვის, მიეცეთ საჩუქრათ ერთდროული დახმარების სახით პირველს 3000 მან., მეორეს—2,000 მან.

— **სიკვდილით დასჯა.** რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექტორი ატყობინებს იუსტიციის სამინისტროს, რომ ამ დღეებში დახვრიტეს ბორჩალოს მაზრის მცხოვრები ყული ალნიაზ ოღლი, რომელსაც თფილისის საგანგებო სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა.

— **საერთო განათლების კურსები** ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობიდან გადავიდა ანდრეევის ქუჩაზე, საპარქიო გიმნაზიის ბინაზე. სწავლა ძველ მსმენელთათვის დაიწყება 22 სექტემბერს, ხოლო ახლებისათვის 1 ოქტომბერს. კურსების კანცელარია ღიაა საღამოს 5—7 ს. თხოვნების მიღება სწარმოებს დღეიდანვე.

— **რესპუბლიკის საპყრობილეთა** ინსპექტორის თანაშემწე ა. ლეინიაშვილი რომელიც გაგზავნილი იყო ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში საპყრობილეთა რევიზიის მოსახდენათ, დაბრუნდა თფილისში და წარუდგინა იუსტიციის სამინისტროს მოხსენება დათვალიერებულ საპყრობილეთა მდგომარეობის შესახებ.

— **სეზონი ავჭალის აუდიტორიაში** გაიხსნება 28 სექტემბერს. წარმოდგენილი იქნება „უმუშევარნი". რეჟისორად მიწვეულია მსახიობი ევტიფი თალაკვაძე. დასი შესდგება 30 კაცისაგან, უმთავრესად ბაქოს სცენის მოყვარენი.

— **იარაღის აღმოჩენა.** სისხლის სამართლის მილიციამ მოედნის შესახვევში მცხოვრებ ოვანეს ტერ-ხაჩატუროვის ბინაზე აღმოაჩინა 3 ვინტოვკა 385 პატრონით და ტიგრან ტერ ხაჩატუროვის ბინაზე რევოლვერი 29 პატრონით.

— **ლექცია.** დღეს, საღამოს 6 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორიაში წაკითხულ იქნება ქართულ ენაზე უფასო ლექციები: ექ. ნ. ტურიაშვილი „სახალხო ჰიგიენა", ინჟ. ვ. ალშიბაია, „საქართველოს სიმდიდრენი".

— **იაფი სასადილო.** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა გააფართოვოს ქალაქის ცენტრალური იაფი სასადილო.

— **ახალი წიგნი.** ამ დღეებში გამოსული წიგნი ქართველ-სომეხთა დამოკიდებულების ისტორიიდან იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

— **დატუსაღება.** სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ნიკოლოზ ტერ-ბარდუგიმეოცი, რომელსაც დაუმტკიცდა ტროფიმე თავართქილაძის ბინიდან 10,000 მან. ღირებულ სხვა და სხვა ნივთების მოპარვა.

— **მეხუთე რაიონის კოლექტივის** სახელით შევკრიფე 500 მან. რაფიელ ჩიხლაძის … მილიც … შემკრებ … ტეტზე იმავე კოლექტივის სახელ… დგენ … მოგროვილს 20… დანიშნულებისამებრ. … ფიქტ…ლა….

### კრებები

დღეს, საღამოს 7 ს. თავის … (19 თებერვლის ქუჩა, სახლი № … დანიშნულია ჩუღურეთის მცირე კო… ვის წევრთა საერთო კრება.

— კვირას, 21 სექტემბერს, 10 ს. თფილისში კახეთის რკ… მართველოში (ელისაბედის ქუჩა… დანიშნულია მეხუთე რაიონის კ… ვის პარტიის წევრების კრება,

— დღეს, პარასკევს, 19 ენკე… ს. ღ. 4 ს. შესდგება ჩვეულებრი… ბა ნავთლუღის მე-7 რაიონულ… ტივის წევრებისა.

### ნაძალადევი

ორ კვირაზე მეტია, რაც ნა…ვის მოქალაქენი მოწყვეტილ… ვაგზლის გადმოღმა ქალაქს, როგორც პატარა განცხადება … ნებს—„საფეხურ ლიანდაგის ზემ… გავლა აკრძალულია", რადგან ლიანი შეკეთებაა დანიშნული… კვირაა ყოველ დღე ვადევნებ… ყურს ნაძალადეველ მოქალაქეთ… საცვეებას, მუდამ არის ხიდი… მოდარაჯე მილიციონერთა დ… ლაქეთა ჩხუბი და აყალმაყალი.

მილიციონერებს ნაბრძანებ… უმოწმობოთ, გარდა რკ. გზი… სახურეთა, არავინ გაუშვან. ვი… ნიერია და გაუშვებენ, უნდა … ათამდე ლიანდაგზე მდგარ მატ…თა ქვეშ გაეშვებით და ბარგ… საფრთხეში აგდებს მათ სიცოც… არის ამ ნიადაგზე დაუსრუ… ლანძღვა-გინება. ამის თავიდან …ბა შეიძლებოდა.

იმის მაგიერ, რომ სამი „სმე… შავებით ანდა ზედმეტი სამუშა… მიეცათ და მუშაობა დაეჩქა… მუშაობენ 4—5 კაცი 6—7 დღეში, მუშაობენ, როგორ… სურვებათ. ვინ დაგიდევს, … ქალაქე გუდა-ნაბად აკიდებულ…

*) 206 მან. მივიღეთ.

---

# თანამედროვე მომენტი და სახ. გვარდ. მიზნები

### ნოე ჟორდანიას მოხსენება

ამხანაგებო! გვარდიის მთავარმა შტაბმა მე მომანდო თქვენ წაგიკითხოთ მოხსენება შესახებ თანამედროვე მომენტისა და გვარდიის დანიშნულებისა.

მომენტი შეიძლება იყოს ბევრნაირი.

რა არის მომენტი?..

მომენტი არის, ასე ვთქვათ, ძალთა და გარემოებათა ისეთი ქსოვილი, რომელშიაც უხდება მოქმედება და ცხოვრება ამა თუ იმ საზოგადოებას.

აი ეს კომბინაცია ძალთა და გარემოებათა, შეიძლება იყოს ორნაირი: ერთი შეიძლება იყოს წარმავალი—დღიური ან თვიური; მეორე შეიძლება იყოს უფრო ძირითადი, უფრო მუდმივი და ხანგრძლივი, საიდანაც გამომდინარეობს წარმავალი მომენტი.

ავიღოთ მაგალითი: აქ, ჩვენში სხვადასხვა მომენტი იყო, სხვადასხვა ძალთა და გარემოებათა კომბინაცია სხვადასხვა დროს: სხვა მომენტი იყო, როცა მოვიდნენ აქ გერმანელები, სხვა მომენტი იყო, როცა მოვიდნენ ინგლისელები, სხვა მომენტია, როცა ინგლისელები წავიდნენ და სხვა... ასე რომ, ეს კომბინაცია იცვლება და ასეთ მომენტს ვუწოდებ—მომენტს წარმავალს.

არის მეორე მომენტი, ანუ ძალთა და გარემოებათა მეორე სახის კომბინაცია, რომელიც არ არის ცვალებადი, რომელიც არ არის წარმავალი, რომელიც ძირითადი და მუდმივია. აი ეს მეორე სახის კომბინაცია ჩვენში ორი წელიწადია არ შეცვლილა. ეს წარმავალი მომენტი აშენებული და აგებულია იმ ძირითად მომენტზე, რომელიც წარმოიშვა რევოლიუციის შემდეგ...

ამიტომ, მე მინდა თქვენ მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა ამ მუდმივ—ახლად შექმნილ ძალთა და გარემოებათა კომბინაციაზე, რომელიც არის ძირითადი, ანუ დედა მომენტი. თქვენ, საერთოდ, წარმოადგენთ შეიარაღებულ ძალას, მაგრამ არა მარტო შეიარაღებული ძალა ხართ თქვენ, თქვენ ხართ ძალა იდეური. ჩვენი გვარდია არის შედგენილი სწორედ გვარდიელთა სრული თანხმობით. მაშასადამე, როცა რომელიმე პიროვნება თავისი ნებით იღებს თოფს და გამოდის ასპარეზზე, მას უნდა ჰქონდეს შეგნებული, რისთვის გამოდის ის ბრძოლის ველზე და რას იცავს იგი.

ამით განსხვავდება ჩვენი სახალხო გვარდია მუდმივი ჯარისგან. იქ არის ერთნაირი იძულებითი გამოყვანა ჯარისკაცთა. და შემდეგ, როცა ისინი მოექცევიან აქ, ჩვენს ყაზარმებში, ვცდილობთ, რომ იმათ ვასწავლოთ და ვაუწყოთ, რისთვის არიან ისინი აქ და რა უნდა დაიცვან მათ. მაშინ, როდესაც თვითეულმა გვარდიელმა წინდაწინვე იცის, მან უნდა იცოდეს, თავის დანიშნულება და საქმე. ამიტომ მე თქვენი ყურადღება მინდა მივაქციო ამ ძირითად მომენტზე, რომელმაც შექმნა ჩვენი გვარდია. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა აიძულებს ჩვენს მოწინავე დემოკრატიას იყოს არა მარტო პოლიტიკური, არამედ—იარაღიც აისხას და ჩვენი მდგომარეობა დაიცვას, ამიტომ თვითეულმა გვარდიელმა უნდა იცოდეს, რომ, რასაც აკეთებს ის, აკეთებს მართალ საქმეს; ამიტომ საჭიროა მას ჰქონდეს გათვალისწინებული დღევანდელი მომენტი.

არ დავიწყებ შორიდან.

თქვენ იცით, რომ იმ დროს, როცა საქართველო იმყოფებოდა რუსეთის ფარგლებში, ჩვენი სოც. დემოკრატია და საერთოდ სარევოლიუციო პარტიები რას ელტვოდნენ. იცით, რომ ჩვენ გვინდოდა მთელი რუსეთის ხალხთან ერთად რუსეთის ახალ ნიადაგზე მოწყობა.

ისიც იცით, რომ ეს არ მოხდა.

ჩვენ ვიყავით იძულებული, რომ რუსეთს გამოვყოფოდით და ჩვენი საკუთარი წყობილება მოგვეწყო.

როგორ მოხდა ეს?.. არის ის ვინმეს ჟიუტობა, თუ მოქმედებდა ისტორიული კანონი?..

ამის მიზეზი ის არის, რომ, როცა ჩვენს ხალხს და რუსის ხალხს მიეცათ საშუალება თავისით ეთქვა-თავისი სურვილები, გაეკაფა თავისი გზა, ამ დროს ჩვენმა ხალხმა ერთი სთქვა, რუსის ხალხმა კი—მეორე.

გამოჩნდა, რომ ათასი წლის ისტორიას ჩვენს ცხოვრებაში სხვა ჩაუწერია, რუსისაში—კი სხვა. სანამ ჩვენ და რუსებს ერთი ბატონი გვყავდა და არ გვანებებდა ჩვენი სურვილები გაგვემხილა, ამ ტლანქ ძალას ორივე ვემორჩილებოდით.

მას შემდეგ, რაც ეს ტლანქი ძალა მოვიშორეთ და თავისუფლება მივიღეთ, აქ გამოჩნდა, რომ ჩვენ ვსთქვით სხვა,—მათ კიდევ სხვა. ჩვენს წინ აღიმართა ორი კულტურული გზა: ერთ გზაზე შესდგა რუსის ხალხი, მეორეზე ჩვენ. ეს ორი გზა არ შეერთებულა, არამედ—მიდის პარალელურად—ერთი ერთი მხარით მიდის, მეორე—მეორეთი.

რა გზებია ეს და რამ წარმოშვა იგინი? ჩვენ, მარქსისტებმა, ვიცით კარგად, რომ საკუთრების ფორმაა ის საფუძველი, რომელზედაც შენდება პოლიტიკური, იურიდიული და საერთოდ კულტურული მდგომარეობა ხალხის. ამ საკუთრების ფორმის გარდაქმნასთან ერთად გარდაიქმნება ყოველივე ისიც, რაც მაზე არის დამყარებული.

თანამედროვე ცხოვრება, თქვენ იცით, რომ აგებულია კერძო საკუთრებაზე. ეს საკუთრების ფორმა გაბატონებულა ევროპაშიაც და ჩვენშიაც. ეს ფორმა ჰქმნის საფუძველს, რომელზედაც ჯგუფი, კლასი პიროვნება ვითარდება თვითმოქმედების ნიადაგზე. აქ არის სრული და მძლავრი სულიერი და ნივთიერი დიფერენციაცია. აქ თვითეული პიროვნება წარმოადგენს ერთს პოლიტიკურს და კულტურულს მთლიან ინდივიდუუმს, რომელსაც აქვს საკუთარი აზრი, შეხედულება, საკუთარი ინტერესები...

როდესაც ასეთი ინდივიდუუმები ერთდებიან, ისინი ქმნიან კლასს, რომელიც ძლიერია, როგორც იდეებით, ისე მოქმედებით. ასეთია მთავარი დახასიათება დღევანდელი ევროპის... ავიღოთ ახლა მეორე მხარე: ავიღოთ ხალხი უფრო ჩამორჩენილი, სადაც არ არის გაძლიერებული თანამედროვე ევროპიული წარმოება და საკუთრების ფორმა. აქ ხალხი პრიმიტიულ მდგომარეობაშია. აქ პიროვნება, ჯგუფი, კლასი არ არის განვითარებული; მათში არ არის ჩამოყალიბებული პოლიტიკური და კულტურული იდეები, აქ ნაკლებია დიფერენციაცია. აქ ერთი პიროვნება გავს მეორეს, ერთი სოფელი მეორეს, ერთი ჯგუფი მეორეს. აი აქ ცხადია, რომ მეორე ხალხის კულტურული გზა არ იქნება იმის მსგავსი, რომელი გზაც არის და ეკუთვნის პირველ ხალხს. ეს ორი საზოგადოება სხვა და სხვაა. და ამიტომ ისინი მიდიან თვითეული თავისს საკუთარი გზით.

ამ თვალით თუ შევხედავთ რუსეთს, იმ რუსეთს რომელიც ბატონობდა და ბატონობს რუსეთში, და საქართველოს, დავინახავთ, რომ ამ ორ ხალხს შორის დიდი განსხვავებაა.

თქვენ იცით, რომ ამ დიდ რუსეთში იყო და თითქმის ახლაც არის თემური მიწათ-მფლობელობა.

მართალია, ამ მიწათ მფლობელობას ერთნაირი ბრძოლა გამოუცხადა სტოლიპინმა, მაგრამ ეს ბრძოლა არ იქნა დამთავრებული და არც შეიძლებოდა ასეთ მფლობელობაზე აგებული ფსიქოლოგიის ერთი კალმის მოსმით მოსპობა.

აი, ეს თემური მიწათ-მფლობელობა, რომელიც იყო მთელს ევროპაში, ჩვენშიაც და რომელიც მოისპო, ფაქტია დღევანდელ რუსეთშიაც.

მაშასადამე, ის ძირითადი დებულება, რომელიც ახდენს დიფერენციაციას—განსხვავებას ჯგუფსა კლასსა და პიროვნებას შორის, რასიც ვხედავთ ევროპაში, აი ეს ძირითადი მიდრეკილება იყო სუსტი რუსეთში, ვინაიდან აქ იყო თემური მიწათ მფლობელობა.

ამ მხრივ, უნდა ვსთქვა, რომ რუსეთის ნივთიერი ყოფა-ცხოვრება ევროპასთან შედარებით იყო და არის ჩამორჩენილი და ამიტომ მისი იდეური თუ პოლიტიკური მსვლელობა იყო და არის ჩამორჩენილი. მხოლოდ ამ თემური ურთიერთობით აიხსნება ის, რომ ეს უზარმაზარი წყობილება, რომელიც დიდი ხანია მოისპო ყველგან ასე გასინჯეთ ჩინეთშიაც კი, ეს წყობილება—მათრახებზე აგებული იქ 1917 წლამდის იყო და ბატონობდა. აი სწორედ ეს თემური მიწათ-მფლობელობა ჰქმნის იმას, რომ ერთი პიროვნება ნთქავს მეორეს, ერთი სოფელი მეორეს, ერთი ჯგუფი მეორეს და სხვა; აქ ერთი მარჯვე კაცი დაიმორჩილებს მთელ ხალხს, ერთი დიდი ბატონი იყო მთელი ხალხის მეფე.

აქ არ იყო ხალხის თვითმოქმედება, არ იყო საკუთარი აზრი და სურვილი თავისი საკუთარი ძალით ცხოვრების მოწყობისა. აქ არ იყო პოლიტიკური აზრი გავრცელებული, რომ მას წარმოეშვა პოლიტიკურათ აღზრდილი მასა. ასეთი კულტურული მდგომარეობა ქმნიდა იმას, რომ რუსეთში, დიდ რუსეთში იყო შექმნილი ასეთი ურთიერთობა. პატარა რუსეთში, ყუბანში, ყაზახებში შექმნილი სულ სხვანაირი ურთიერთობა იყო. ასეთმა მდგომარეობამ შექმნა ის, რომ რუსეთში არ შესდგა ნიადაგი დემოკრატიული მართველობისა. დემოკრატიული მართველობა ნიშნავს ხალხის უმრავლესობის მიერ თავისი სურვილების გამოთქმას ე. ი. თვითეულ კლასს, ჯგუფსა პიროვნებას უნდა ჰქონდეს უფლება სთქვას; თუ ეს ასე არ იქნება, მე არ ვარ ამის მომხრეთ. მაგრამ ასეთი ლტოლვისათვის საჭიროა, რომ თვით ხალხი იყოს სხვა მდგომარეობაში და ჰქონდეს ის ძირითადი ელემენტები. კოლექტიური და ფსიხოლოგიური ვითარება, რომელსაც ვხედავთ მოწინავე ხალხში და რომელზედაც აგებულია ეს დემოკრატიული წყობილება.

აქ იყო პირიქით: აქ ერთი კაცი უბრძანებდა, ერთი კაცი ბატონობდა, ერთი მეფე სუფევდა და მთელი ხალხი მას მორჩილებდა.

მართალია, რევოლიუციამ შეარყია ეს მდგომარეობა, მაგრამ, თქვენ იცით, რომ ასეთი სულიერი და ნივთიერი მდგომარეობა 1, 2, 3, წელში ვერ მოისპობა.

რევოლიუცია გახდა ერთნაირი დემოკრატიული იდეების მატარებელი, მაგრამ ამ დემოკრატიული იდეების მატარებელი იყო არა მთელი ხალხი, არამედ—მოწინავე ინტელიგენცია.

როცა ჩვენ 1917 წელს ენკენისთვეში ქალ. პეტროგრადში ე. წ. დემოკრატიულ თათბირზე მოვითხოვეთ, რომ რუსეთში შემდგარიყო დემოკრატიული მთავრობა და კავშირი გაეწყვიტათ ბურჟუაზიასთან, გვიპასუხეს—რუსეთში არ არის დემოკრატია—არ არის ისეთი დემოკრატია, რომელსაც შეეძლოს აიღოს ხელში სადავე და მოაწყოს სახელმწიფო რადგანაც ეს არ არის, ამბობდენ ჩვენი ამხანაგები, ამიტომ საჭიროა შევუკავშირდეთ მოწინავე ბურჟუაზიას და მათი საშუალებით დავამკვიდროთ დემოკრატიული წყობილება.

ამას გვეუბნებოდნენ არა მარტო რუსები, არამედ—აქაური ჩვენი ამხანაგებიც, რომლებიც იქ მუშაობდნენ.

ეს ისეთი აშკარა იყო, რომ ჩვენ—აქაურმა დელეგატებმა ვსთქვით, თუ არ არის დემოკრატია, ბურჟუაზია მაინც მოშორდება რუსეთი და სხვას დაემორჩილება; ჩვენ ვსთქვით, რომ ეს გათავდება ბოლშევიკების გამარჯვებით. ეს მოხდა სწორედ ერთი თვის შემდეგ.

ბოლშევიკებმა იცოდნენ ეს, ისინი მიხვდნენ, რომ რუსეთში არ არის დემოკრატია, რომ რუსეთის ხალხს არ შეუძლია მოაწყოს თავისთვის ბატონობა, რომ მიუშვათ მის ქუჩაზე და მის ნებაზე. ამიტომ სთქვეს, რადგან ეს მას არ შეუძლია ამიტომ მაღლიდან მოვახვიოთ თავზე ჩვენი იდეები და წყობილება. ამას მიხვდნენ ბოლშევიკები და უნდა ვსთქვათ, რომ ამ აზრის იყო ძველი წყობილების ყველა რეაქციონერი. არის ერთი დიდი წიგნი — პობედონოსცევის, რომელიც იყო სინოდის მეთაური. ის ამ წიგნში ამბობს: ჩვენმა ინტელიგენციამ არ იცის რა არის რუსის ხალხი: თუ რუსის ხალხმა აიწყვიტა, ყველაფერს დაანგრევს, მაგრამ ვერაფერს ვერ შექმნის. და ჩვენ იგი გვყავს დაბმულიო.

ბოლშევიკები მიხვდნენ, რომ ეს ხალხი ჩამორჩენილი, განუვითარებელია, ცხადია, იმავე ბიუროკრატიზმის წყალობით. მიხვდნენ, რომ ერთი წლის განმავლობაში, თავის თავად ცხადია, ვერ გამოიცვლიდა თავის ჩვეულებას, ფსიხოლოგიას, და თუ მიუშვი თავის ნებაზე, ისევ მივა ნიკოლოზთან. მაგრამ მათი დანაშაული ის არის, რომ მათ არ მოინდომეს, რომ ეს ხალხი გამხდარიყო პოლიტიკურ დემოკრატიად. ეს პრინციპი—პრინციპი რეაქციონერთა, მიიღეს თავისად—არ არის დემოკრატია და არც უნდა იყოსო.

აი, მათი დანაშაული ესაა და არა ის, რომ მათ გაიგეს საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

ახლა მიუბრუნდეთ ჩვენს—საქართველოს ხალხს; თქვენ აქ იცით, რომ სასაკუთრების ფორმა არის კერძო საკუთრება; იცით, რომ ჩვენში არ არის თემური მიწათ-მფლობელობა და ამიტომ არც შეიძლება იყოს მასზე აგებული პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა.

ვიცით, რომ ჯერ კიდევ ძვ… ჟიმის დროს ჩვენი ხალხი მიიჩვ… გი ლეგალურად, ზოგი არა ლ… რად,—მოეწყო ორგანიზაციები … ტურული ცენტრები.

მახსოვს მე, ეს იყო 25 წლის … რომ ხალხი თავისი სურვილით … სამკითხველოებს, სკოლებს. მახ… —ერთხელ ჩემს სოფელში რუს… წინავე ინტელიგენტი ჩამოვიდა … დესაც გაიგო, რომ აქ იყო გზ… ლა, სამკითხველო, ხოლო არ იყ… ბა, ძლიერ გაუკვირდა და … ჩვენში ერობა რომ არ იყოს … ერთი ეს არ იქნებოდაო.

დამე აქ, ჩვენში, კერძო სა…ბის ნიადაგმა ეს ენერგია, ეს … რესი, ეს თვითმოქმედება გაუძ… როგორც თვითეულ პიროვნებ… მთელ ხალხს.

აგრეთვე, თქვენ გახსოვთ, რო… იყო პოლიტიკური არჩევნები, … დავათ ბევრნაირი მუხრუჭებისა და კი… ზომებისა, ხალხი ბევრს რამეს … მთავრობის წინააღმდეგო და ის… და მუდამ ოპოზიციას—სოციალ…ის კანდიდატებს.

ამნაირად ჩვენში მომზადდა … დემოკრატიზმის ან ხალხის მ… ვისი თავის ბატონობის და მ… გამგეობის.

ამნაირად იქ დიდ რუსეთში … შეიქნა ერთნაირი ობიექტი—საგანი …პოტიზმისა და დიქტატურისა.

იქ წინათ იყო დიქტატურა ნი…ზისა, შემდეგ ლენინისა, ახლა … დენიკი, კოლჩაკი და ყველა ეს … დგანან ერთს ნიადაგზე—ყველანი … ჰყოფენ დემოკრატიზმს.

…ურს ჰყოფენ იმიტომ, რომ … ხედავენ: ამ დიდი რუსეთის ხალ… არ შეუძლია, რომ ის იყოს თავისი თავის ბატონი და მხოლოდ დანაშაული მათი ის არის, რომ არ სურთ ეს ხალხი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანონ … ვიონ თავისი თავის ბატონობას… დონ პოლიტიკურ დემოკრატიულ… სურვილებში … შეერთებული … და ამიტომ არის, რომ ასე ვებრძ… ბოლშევიკებს და ვამბობთ, … არიან სოციალისტები.

აი ასეთი ორი გზა ჩვენი და რუს…: ორი პოლიტიკური და კულტურ… გზა—ერთი გზა არის გზა … რატიული და მეორე გზა არის გ… მოკრატიული.

ამით, რასაკვირველია, მე არ ვამბობ, რომ რუსეთის ხალხი მუდამ … ასეთ მდგომარეობაში.

წარსულში ბევრი ხალხი ყ… ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ … განსაცდელიდან გამოსულა.

აი, როცა რუსეთის ხალხი ამ …

რეზელ ქვეშ გაძვრება და მიღ[illegible]ნერ-თა „სასამართლოს“ წინაშე რომელიმე საათით დგას? №

## ქართული ლატარიის გამგეობისაგან

მოქალაქენო! ქართულ ლატარიის საბჭოს დადგენილების თანახმად, ლატარიის გათამაშება აუცილებლად მოხდება ამ წლის 2 ნოემბერს. ერთი თვის შემდეგ უნდა დასრულდეს ის დიდი საქმე, რომელიც ერთი წლის წინად დაიწყო და რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს ქართულ უნივერსიტეტსა და ქართულ თეატრსა. ყველამ, ვისაც გულში უღვივის უწმინდესი ნაპერწკალი ხალხისა და სამშობლოს სიყვარულისა, იცის—რა დიდი საქმეა ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტისა და ჩვენი თეატრისთვის დახმარების აღმოჩენა.

მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარება აუცილებელი პირობაა ახლად განთავისუფლებულ ქვეყნის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის. ამ დიდ საქმისათვის საჭიროა ფართო საზოგადოებრივი თანაგრძნობა და დახმარება.

სამწუხაროდ, ლატარიის საქმეს ზევრგვარი დაბრკოლება გადაეღობა წინ, მაგრამ საქმე მაინც უნდა დავირგვინდეს და ამიტომ ლატარიის გამგეობა მიჰმართავს ყველა იმ საზოგადოებრივ დაწესებულებათ და პროვინციალურ განყოფილებათ, რომელნიც მას ემსახურებოდნენ, მოწოდებით: გამოვიყენოთ მცირე დრო, რომელიც დარჩა ლატარიის გათამაშებამდე, ინტენსიურ მუშაობისათვის. გამგეობა მიჰმართავს მხურვალე მოწოდებით საქართველოს ყველა მოქალაქეთ: ისწრაფეთ ლატა[illegible]

ლატარიის გამგეობა.

## იუსტიციის სამინისტროში

[illegible] კანცელარიის დირექტორ გ. თ. ქორდანიასთან და თფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორ მ. ა. ტატიშვილთან ერთად დაათვალიერა თფილისის № 2 (მეტეხის) საპყრობილე.

**ა. სარაჯიშვილის მკვლელების დასჯა.** სამინისტროში მიღებულ ცნობების მიხედვით, სექტემბრის 5 ქ. სიღნაღში, გარნიზონის უფროსის და სხვა თანამდებობის პირთა თანდასწრებით სისრულეში იქნა მოყვანილი საგანგებო სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელი (სიკვდილით დასჯა) ალ. სარაჯიშვილის მკვლელთაგან ექვსს დამნაშავეზე. დანარჩენს სამს დამნაშავეს სიკვდილით დასჯა მთავრობის დადგენილებით შეეცვალათ უვადო კატორღით. დახვრიტეს: ალექსი ლისაშვილი, ნიკო კოკოლაშვილი, ლევან ზარდიაშვილი, გიორგი მინდორაშვილი, იოანე ლორთქლიშვილი და გიორგი ტივლიშვილი.

**მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებისათვის.** რადგან გამოირკვა, რომ ზოგიერთ ერობაში მომრიგებელი მოსამართლენი არჩეულნი არიან არა მაზრის საერობო კრილობით, როგორც ამას მოითხოვს კანონი, არამედ საერობო გამგეობის მიერ, სამინისტრომ სათანადო განმარტება გაუგზავნა საერობო გამგეობებს. სამინისტრო მოითხოვს, რომ სადაც კანონიერი არჩევანი არ მომხდარა, დაუყონებლივ აირჩიონ მომრიგებელი მოსამართლენი კანონიერის წესით.

**ლაგოდეხის უბნის მომრიგებელი მოსამართლე.** ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად, ვიდრე მოსამართლეს ერობა აირჩევდეს, ბ. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა პ. მოსულიშვილი.

## ფოსტა-ტელეგრაფში

„ერთობის“ 209 №-ში მოთავსებულ ბ. ფაჩუაშვილის წერილის შესახებ მო[illegible]

ფოსტის ნიშნები იყო გაგზავნილი ყარაიაზის სადგურის უფროსის სახელზე 30 აგვისტოს № 5979, მაგრამ მან არ მიიღო და უკან დააბრუნა. რკინისგზის სადგურის უფროსი მოვალეა, იქ, სადაც არ არის მახლობლად ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება, ჩაიბაროს ფოსტის ვაგონის სადგურზე დატოვილი კორესპონდენცია. საფოსტო ვაგონებში მუდმივ აქვთ ნიშნების ავანსი და თუ ვინმე მოისურვებს მარკების ყიდვას, შეუძლიანთ მიიღონ ამ ვაგონებში.

რაც შეეხება ფოსტის გამყოლ მოხელისაგან მილიციელისადმი უთანადოთ მოქცევას, დავენიშნე სასტიკი გამოძიება და თუ ფოსტის გამყოლი მოხელე მართლა დამნაშავე აღმოჩნდა, შესაფერისად იქნება იგი დასჯილი.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსი მგელაძე

## უცხოეთი

**ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულების გარშემო.**

გაზეთი „ტან“ ერთ წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „ბრიტანეთის მოქმედება სპარსეთში“, სწერს:

„სპარსეთის შახის გამგზავრება ევროპაში აიხსნება იმ ხელშეკრულობით, რომელიც ტეგერანში შეჰკრა ბრიტანეთის მისიამ. ხელშეკრულობა სცნობს სპარსეთის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას, მაგრამ შიგ არის პირობები, რომლის ძალით იქ ბრიტანეთის გავლენა თანდათან უნდა გაიზარდოს. ამირიდან დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომებს შეუძლიანთ იმსახურონ, როგორც ოფიციალურმა წარმომადგენლებმა საგარეო საქმეთა დარგებში სპარსეთის მთავრობასთან. ბრიტანეთის ექსპერტები მოახდენენ სპარსეთის ფინანსების რეორგანიზაციას და სესხს მისცემენ მას. [illegible]

[illegible] ამბობს: „სპარსეთიდან მიღებული ცნობების თანახმად ახალ ხელშეკრულებას სპარსელები არ იწონებენ და ბრალს სდებენ მთავრობას თავისი ქვეყნის გაყიდვაში. სრულიად გასაგებია, რომ სპარსელებს არ ემჩნევათ ენტუზიაზმი ამ კონტრაქტის გამო, რადგანაც ის სპარსეთს ეგვიპტის მდგომარეობაში აყენებს და ეს არც გასაკვირია. ის ფაქტი, რომ სპარსეთს უფლება მიეცა ხალხთა ლიგაში შესვლისა არ უბიძგებს სპარსელებს ილლუზიებს, რადგანაც სპარსეთის მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც იყო რუსეთის მოშორება ინტერნაციონალური პოლიტიკის სცენიდან. ინგლისმა და რუსეთს შორის დიდი ხნის ქიშპის შემდეგ, დიდი ბრიტანეთი, გერმანიის შიშით, შეუთანხმდა რუსეთს და 1907 წლის ხელშეკრულება გულისხმობდა სპარსეთის სამ ზონად დაყოფას: რუსეთის ზონა სპარსეთის ჩრდილოეთი მხარე, შემდეგ ნეიტრალური ზონა და შემდეგ ბრიტანეთის ზონა სამხრეთ-დასავლეთში. როდესაც 1916 წელში რუსეთი მოითხოვდა კონსტანტინოპოლს თავისთვის, შეთანხმდნენ, რომ კონსტანტინოპოლის მაგიერ ინგლისი მიიღებდა ნეიტრალურ ზონის დიდ ნაწილს სპარსეთში. დღეს რუსეთი როგორც პოლიტიკური ფაქტორი არ არსებობს და მთელი სპარსეთი ბრიტანეთის ზონაში შევა“.

## ს.-დ. პარტიაში

**ქ. სამტრედია.** 4 სექტემბერს შესდგა სამტრედიის რაიონის ორგანიზაციების კომიტეტის სხდომა, დაესწრო 18 წევრი, თავმჯდომარეობს გ. დუნდუა. პირველ საკითხად ისმება ქუთაისის მაზრის კომიტეტის შედგენა და მასთან დაკავშირებული კითხვები.

მოხსენება გააკეთა ამხ. გ. დუნდუამ, [illegible] ბების (თემები) კოლექტივები დაშორებული არიან ქ. ქუთაისთან.

კომიტეტი ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: 1) სამაზრო კომიტეტის შედ[illegible]

ლევანიძე.

**თფილისი.** 10 სექტემბერს შესდგა ქალაქის თვითმართველობის და ქალაქ[illegible] დემოკ. ხაზი.

ფრაქცია უნდა ეხმარებოდეს კომიტეტს თავის მუშაობაში და თოთ თაოსნობდეს პროფ. მომ[…]

---

მარეშბიდან გამოვა და ისიც ისეთივე დემოკრატიული წყობილებით და სურვილით იქნება გამსჭვალული, როგორც ჩვენ, ცხადია, ჩვენს და მათ შორის გაიბმება ახლო ძაფები და ჩვენ შორის არავითარი რთული კითხვები აღარ იქნება. და ხელი-ხელ ჩაკიდებული გავუდგებით საერთო გზას.

როდის მოხდება ეს?—ამის თქმა ძნელია.

საფრანგეთის დემოკრატიული წყობილება დასამარდა კონვენტით, განვლო 80 წელი და 1873 წ- დემოკრატიამ საბოლოოდ გაიმარჯვა, საბოლოოდ უარჰყო მონარქიზმი და განამტკიცა რესპუბლიკანური წყობილება. მაშასადამე, არც ისე ადვილი საქმეა, რომ ხალხი შეიქნეს პოლიტიკურ დემოკრატიად—დაამყაროს დემოკრატიული წყობილება. მე არ ვამბობ, რომ რუსის ხალხსაც ამდენი დრო დასჭირდეს—აქ უფრო სწრაფად, უფრო ჩქარა იწარმოებს ეს პროცესი, მაგრამ ეს ახლო მომავლის საქმე მაინც არაა.

და ვინაიდან ამ დემოკრატიული სულის კვეთება და პოლიტიკური დემოკრატიის დამყარება არ მოხდება ახლო მომავალში,—ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენთვის დამოუკიდებლად.

აი, ამისთვის არის მოწოდებული სახალხო გვარდია, რომელიც ამ საქმეს უდგია გუშაგათ და დარაჯათ. (ძლიერი ტაში). აქედან თქვენ დაინახეთ, რომ აქტი 26 მაისისა,—ეს არის დიდი ისტორიული აქტი, აღმოცენებული არა შემთხვევით, არამედ—დიდი ისტორიულ აუცილებლობასა და ფაქტზე.

თუ გვინდა, რომ ჩვენში იყოს დემოკრატიის ბატონობა—დემოკრატიზმი და არა დიქტატურა, მაშინ ჩვენ იძულებული ვართ ჩვენი საკუთარი საშუალებით შევქმნათ და ვაშენოთ დემოკრატიის ბატონობა.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ გვარდიის მოწოდება, მისი საბუთები—იდეური და პოლიტიკური, საბუთები თავის მოქმედების გასამართლებლად მეტად დიდი და მძლავრია.

უნდა იყოს გვარდია დარწმუნებული, რომ, თუ იგი იცავს საქართველოს, იგი იცავს ამავე დროს თავის თავს, საქართველოს მუშების და გლეხობის ბატონობას.

მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან: ღირს განა ამდენი დავიდარაბა ამისთვის; რა გააკეთეთ, თქვენი საქმეები რა საქმეებია?.. რა გავაკეთეთ?—ნამდვილი დიქტატურა მუშების და გლეხების არის აქ—ჩვენში.

მაგრამ ეს დიქტატურა არის მოპოებული არა დიქტატორული გზით, არამედ გზით დემოკრატიულით.

არავინ არ იფიქროს, რომ რუსეთში იყოს ნამდვილი დიქტატურა მუშების და გლეხების.

რომ ეს ასე იყოს, მაშინ უმრავლესობა მუშების და გლეხების მიემხრობოდა მათ—ბოლშევიკების წყობილებას.

თუ ეს ასეა, მაშინ რატომ შეეშინდათ, რომ ხალხისთვის მიეცათ უფლება თავისი სურვილი გამოეთქვა? ალბათ იმიტომ რომ მაშინ გამოჩნდებოდა, რომ ეს ხალხი არ მიემხრობა მთავრობას;

იქ არის დიქტატურა ჯგუფისა, შეიარაღებული ჯგუფისა, ის მოვლინებულია შეიარაღებული ძალით მაღლიდან და ისინი ბატონობენ როგორც მუშებზე, ისე გლეხებზე და არ აძლევენ გამოსთქვან თავისი აზრი, ვინაიდან იციან, რომ ეს აზრი არ იქნება მათი სასარგებლო. აქ, ჩვენში, სრულიად თავისუფალი—დემოკრატიული გზით მუშებმა და გლეხებმა შეადგინეს თავისი მთავრობა.

ასეთი მთავრობა ჩვენ რომ არ შეგვედგინა და მოვქცეულიყავით ისე, როგორც რუსეთში, ე. ი. დავყრდნობოდით შეიარაღებულ ძალას, მაშინ აქაც გალვივდებოდა სამოქალაქო ომი.

აი, ახლა, როცა აქ შესდგა ნამდვილი მართველობა და მთავრობა ამ მუშებისა და გლეხებისა დემოკრატიული გზით და სრულიად ერთსულოვნად, მის წინაშე შავი რეაქცია იძულებულია ქედი მოიხაროს და დაემორჩილოს მას. აქ არ არის სამოქალაქო ომი. და არც შეიძლება იყვეს იქ, სადაც არის დემოკრატია. სამოქალაქო ომი არის იქ, სადაც ბატონობს დიქტატურა და დესპოტია.

ჩვენ ეს გავაკეთეთ, ერთ და იმავე დროს დავიცავით დემოკრატიული წესწყობილება და შევქმენით მთავრობა მუშების და გლეხების ინტერესების გამომხატველი მართველობა.

აი ამიტომ იყო ჩვენში შესაძლებელი, რომ უსისხლოთ და უომრად მოხდარიყო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის რეფორმა, ისეთი რეფორმა, როგორიც არის აგრარული რეფორმა.

ეს აგრარული რეფორმა არის უდიდესი რეფორმა იმიტომ, რომ ასე ფართედ და რადიკალურად მიწის საკითხი წმინდა დემოკრატიული გზით არც ერთს რევოლიუციას ევროპაში არ გადაუწყვეტია. ეს მოხდა ჩვენში. ამ წესებმა ამ დემოკრატიული გზით მართველობის და მთავრობის შედგენამ ჩვენ მოგვცა ის, რომ არა მარტო მიწის მფლობელი, არამედ—კაპიტალისტიც იძულებულია თავი მოიხაროს ამ ფაქტის წინაშე, და დაემორჩილოს სოციალისტურ რეფორმებს. ჩვენში სოციალური რეფორმების წარმოება არ არის ადვილი; არ არის ადვილი იმიტომ, რომ ჩვენში, როგორც იცით თქვენ, მრეწველობა და კაპიტალისტური წარმოება არ არის განვითარებული. მაშასადამე, საწარმოვო ძალები არ არის განვითარებული იმდენათ, რომ მან აიტანოს ყოველ-გვარი რეფორმები. აი, აქ საჭიროა მოხდეს შეერთება, მოხდეს კომბინაცია ისეთი, რომ სოციალური რეფორმები ეთანხმებოდეს საწარმოვო ძალთა განვითარებას და პირ იქით, ჩვენი საწარმოვო ძალთა განვითარება უნდა ეთანხმებოდეს მუშათა ინტერესების დაცვას.

აი სწორედ ჩვენში დღევანდელი სოციალური რეფორმები ამ ფარგლებში ტრიალებს და ჩვენ ვცდილობთ ამოვავწუროთ ის შესაძლებლობა, რასაც კი იძლევა ჩვენი ნივთიერი ყოფა-ცხოვრება.

აქ, ვამბობ მე, ინტერესი მუშათა კლასის და საწარმოვო ძალთა განვითარების ერთნაირია. მაგრამ ერთნაირი არ არის ინტერესი საწარმოვო ძალთა განვითარების და კაპიტალისტის.

თუ კაპიტალისტი იღებს ზევრს შემოსავალს, ის არ სწუხს ეს ძალები იქნება განვითარებული თუ არა. პირ-იქით, მისი ინტერესი მოითხოვს, რომ ეს ძალები არ განვითარდეს.

ამიტომ მე ვამბობ, რომ აი აქ, ჩვენში, წინ უნდა იყოს დაყენებული სოციალურ რეფორმების გატარების დროს ინტერესი არა კაპიტალისტის, არამედ საწარმოვო ძალთა განვითარებისა და მუშათა კლასის. აქეთ არის დღეს მიმართული ჩვენი სოციალური რეფორმები.

უნდა ვსთქვათ, რომ, რასაც საქართველოში ამ მხრივ დღეს ვაკეთებთ, ამის მსგავსს ვერ ვხედავთ სხვაგან, რომ იქიდან გადმოვიღოთ მაგალითი, ან იმათ წავბაძოთ. ეს იმიტომ, რომ არც ერთს უცხო სახელმწიფოში არ არის დღეს მუშათა პარტიის ბატონობა. თვით გერმანიის მუშათა პარტიას არა ყავს დღეს უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში და ის იძულებულია შევიდეს ბლოკში სხვა პარტიებთან და ამნაირად კომპრომისული პოლიტიკა აწარმოოს.

ამიტომ ჩვენ ვართ იძულებული საკუთარი გზით ვიაროთ და ვაშენოთ სახელმწიფო, სადაც სოციალური რეფორმები უნდა იყოს მიმართული საწარმოვო ძალთა განვითარებისაკენ.

ჩვენ შეგვიძლია დღეს შევიდეთ დამფუძნებელ კრებაში და გამოვაცხადოთ აქ სოციალიზმი. ეს ჩვენ პოლიტიკურად ყოველთვის შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ეს ეკონომიურად. და ვინაიდან ეკონომია არის საფუძველი დანარჩენი მხარეებისა, ამიტომ ჩვენ ვდგევართ ეკონომიური რეფორმების გზაზე.

მაგრამ არ შეგვიძლია იმიტომ, რომ, როცა ირგვლივ და მთელს ევროპაში ბატონობს კაპიტალისტური წყობილება, როცა იქ ბაზარი კაპიტალისტების ხელშია, როცა იქ მეფობს საერთო კონკურენცია, არც ერთ ხალხს არ შეუძლია ამ კონკურენციას თავი დააღწიოს და შიგნით სოციალური წყობილება დაამყაროს. რუსეთში არ არის სოციალიზმი, ეს თავის მოტყუებაა. არავის სოციალური წყობილების დამყარება არ შეუძლია, თუ იგი არ არის ევროპაში. როცა რევოლიუცია იფეთქებს მთელს ევროპაში და ბაზარი იქნება მათ ხელში, მაშინ შეძლება ხალხების აყვავება. ამიტომ მარქსი, ენგელსი ამბობდენ, რომ სოციალური რევოლიუცია არის საერთაშორისო, ის არ შეიძლება იყოს ნაციონალური, ის უნდა მოხდეს მოწინავე ქვეყნებში, რომ ჩამორჩენილმა ქვეყნებმა ამით ისარგებლონ.

თქვენ იცით, რომ 60-ან წლებში რუსეთის რევოლიუციონერთა შორის იყო გაბატონებული ერთი აზრი: ვინაიდან რუსეთში არის სათემო მიწათ-მფლობელობა, რუსეთს შეუძლია არ გაიაროს კაპიტალისტური ხანა და გადავიდეს ამ პრიმიტიულ მდგომარეობიდან სოციალიზმში. ამ აზრის განხორციელება თავს იდვეს ბოლშევიკებმა.

მაგრამ ეს აზრი, რასაკვირველია, მერე უარყვეს; რუსეთის ნაროდნიკებმა კითხეს მარქსს: შეიძლება თუ არა ესე მოხდეს რუსეთშიო. მან უპასუხა: ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში იფეთქებს სოციალური რევოლიუცია, თუ მთელს ევროპაში გაიმარჯვებს სოციალიზმი, და ამას აჰყვება რუსეთი. ეს აზრი, რომ სოციალური რევოლიუცია მოხდება ჯერ მოწინავე ქვეყნებში და მერე ჩამორჩენილში, არის მუდმივი აზრი ყველასი ჩვენი მოძღვარ მარქსიდან დაწყებული.

აქედან ცხადია, ჩვენ რომ დამფუძნებელ კრებაზე გამოვაცხადოთ სოციალიზმი, ეს იქნება ერთნაირი ავანტიურა, ერთნაირი დეკლამაცია, ტრაბახი; საქმეს აგვიშლის და არაფერს გააკეთებს.

ამით ჩვენ ვამბობთ, სანამ აქ მართვა გამგეობა იქნება მუშათა და გლეხთა წარმომადგენლების ხელში, მანამ ჩვენი პოლიტიკის მიზანი იქნება, რომ ჩვენი პროგრამმა მინიმუმი განვახორციელოდ, ე. ი. პოლიტიკური და სოციალური რეფორმების განვითარებით თანდათან მივიდეთ ამ საბოლოვო გზასთან—სოციალიზმის განხორციელებასთან; აქ ვიყოთ მზად, თუ ევროპაში სოციალურმა რევოლიუციამ იფეთქა, ჩვენ უომრად და უჩხუბრად შეგვეძლება ამ სოციალური რევოლიუციის აქ მოხდენა და ევროპის ერებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული სიარული. და რომ ეს ასე უნდა მოხდეს—ეს უეჭველია. ევროპას თუ უნდა ცხოვრება, ის უნდა დაადგეს სოციალიზმის გზას. მას არ ძალუძს ძნელ ნიადაგზე გადაჭრას დღევანდელი საჭირ-ბოროტო კითხვები. ომის მიერ შექმნილი ეკონომიური კალაპოტის აღდგენა მხოლოდ სოციალისტური საშუალებებით შეიძლება, ამ მხრით ევროპა შექანება. ამ დროს ჩვენ ვიქნებით პოლიტიკურად მზათ და ასეთი მომენტით ვისარგებლებთ და ეს პატარა ხალხი—ეკონომიურით ჩამორჩენილი, აჰყვება მოწინავე ერებს და მათთან ერთად შევა სოციალიზმის სამეფოში.

აი, ასეთია ჩვენი დღევანდელი მოქმედება, ჩვენი დღევანდელი ტაქტიკა. გვარდია არის მოწოდებული ეს მოქმედება, ეს ტაქტიკა დაიცვას.

თუ ჩვენ წაგვერთმევა თავისუფლება, თუ აქ შემოიჭრება დესპოტი და დიქტატორი, თუ ჩვენ მოგვესპო თვითმოქმედების საშუალება, ცხადია, რომ სოციალური რევოლიუცია, სოციალური მიზანი იქნება დიდხანს დამარხული. ჩვენ ვიქნებით გამოთიშული იმ მსოფლიო რევოლიუციიდან, რომელიც უნდა მოხდეს ევროპაში.

ამიტომ თვითეული გვარდიელი, მათი მთავარი შტაბი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ის აკეთებს საერთო საქმეს და ამაში მას ეჭვი არ უნდა ჰქონდეს.

ჩვენი დემოკრატიული რეფორმები მიმართულია იქითკენ, რომ ჩვენი ხალხი არ ასცდეს პოლიტიკურ დემოკრატიის გზას. ჩვენი მიზანია ის მუდამ იყოს თავისი ბედის შეგნებულათ მმართველი. ეს უნდა მოხდეს არა პროპაგანდით, არამედ პრაქტიკულათ. უნდა შევქმნათ ჩვენ ისეთი ფორმები მმართველობისა, რომელნიც გაწვრთნიან ხალხს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს წვრილ და სხვილ ერობებს. უკანასკნელის საშუალებით ხალხი თავისი ჭკუით იკაფავს გზას. ამნაირათ ჩვენი ძირითადი მომენტი, რომელზედაც აგებულია სხვა მომენტები ხასიათდება, იმით, რომ საქართველოს დემოკრატია—და მასში სახალხო გვარდია იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას, რომ ამით მან დაიცვას პოლიტიკური და სოციალური თავისუფლება.

ის როცა სისხლს ღვრის აქა-იქ ფრონტებზე, უნდა იცოდეს, რომ ეს სისხლი წმინდა სისხლია. საჭიროა სისხლის დაღვრა არა მარტო იქ, არამედ აქ შიგნითაც.

ვინც მოინდომებს ამ ჩვენი ისტორიული გზის, ამ დემოკრატიის მიერ შექმნილ წყობილების დამხობას, მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული გვარდიის ხმალი. ვინ მოინდომებს ამას?.. ამას მოინდომებენ რეაქციონერები მარჯვნივ, ანარქისტები მარცხნივ.

ეს იქნება ჯგუფი, ეს იქნება უმცირესობა და ვინც უმრავლესობის წინააღმდეგ ამოიღებს ხმალს, იმას ხმალს უკანვე ჩავაგებიებთ.

არაა ადვილი დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება, პოლ[…] დემოკრატიის შექმნა. არ ყოფ[…] მაგალითი ისტორიაში, რომ […] ციის პირიდან გამოსულიყოს […] რატია:

საფრანგეთში იყო რევოლიუცია […] ტონობა იაკობინელთა, ეს […] იყო ისეთი, როგორიცაა ბოლ[…] ბატონობა; ეს იყო მათი დ[…] და ჩვენ ვამბობთ, რომ ამ […] ციის შემდეგ ჩვენ მივიღეთ […] იმპერატორი ნაპოლეონი, შემ[…] ლუდვიგი, მერე კარლოსი, […] ვოლიუცია, მერე მეფე ლუი […] რევოლიუცია, რესპუბლიკა […] კიდევ რევოლიუცია და მხ[…] წლიდან გამტკიცდა დემ[…] რესპუბლიკა. არც ერთი რევ[…] დან, ინგლისის რევოლიუცი[…] არ გამოსულა პოლიტიკურ[…] ტია. რადგანაც ძველი რეჟ[…] ლევდა ხალხს ნებას თავისუ[…] როვნა და ამიტომ ხალხი […] ჩვეული თვითმოქმედებას.

ამიტომ ჩვენ ვამდენთ ე[…] პერიმენტებს, რომ რევოლი[…] დეგ შეიქნეს მუდმივი, მკვი[…] კრატიული წყობილება და […] ბაში—დემოკრატიის ბატონ[…]

ასეთი ისტორიული ამ[…] ვართ, ამის მომქმედნი […] ვქნით და ეჭვი არ უნდა […] ერთს გვარდიელს, რომ ის […] ისტორიულ მაგალითს, […] საქმეს.

მე ვგავათავე, პოლ[…] უნ[…] რომ თვითეული კლასი, […] ხალხი იბრძვის თავისი ინტერ[…] ამ ბრძოლას მაშინ აქვს ნაყო[…] იღებს შესაფერ ფორმას, […] დის სწორი გზით.

თუ ის არ მიდის სწორი[…] ის არ იღებს შესაფერ […] მალე განადგურდება.

ჩვენი დემოკრატია მ[…] სწორი გზით, სწორ ფორ[…] სწორი გზა და სწორი ფორ[…] ტკიცებს ის, რომ, […] გვარ დაბრკოლებათა, […] მოვედით გამარჯვებული […] იკრიბებოდა ჩვენი საკუთ[…] ტრა, და ვიკრიბებით დღე[…] გვარდიის მთავარი დანი[…] მან ჩვენი ხალხი დაითა[…] ხელში, ხოლო ჩვენ—უ[…] ვეხმარით პოლიტიკური[…] გადაცდეს ამ სწორ გზა[…] უფსკრულში არც მარჯვ[…] ნივ.

ამ სწორი ხაზს დისა[…] დებთ თქვენ აქ და თქ[…] მთელს გვარდიას. (ძხუ[…] ოვაციები).

მესამე მიზანი ფრაქციისა არის—ქალაქ. თვითმ. ადმინისტრაციის მოქმედებისთვის თვალ-ყურის დევნა, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს პარტიულ დისციპლინას. ფრაქცია არ უნდა ერეოდეს ადმინისტრატიულ საქმეებში, მაგრამ პარტიულ ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მოსამსახურეთა კავშირებს, იქნება ეს პარტ. თუ წმინდა პროფესიონალური და დაემორჩილოს პარტიულ დისციპლინას. ჩვენს ამხანაგებს, რანაირ პოსტზედაც ისინი არ უნდა იდგენ, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ჩვენ საერთო მიზნები გვაქვს: სახელდობრ: მუშათა კლასის ეკონომიური და კულტურული გაძლიერება და მისი განთავისუფლება. სამწუხაროთ კი უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ჩვენ ამხანაგ ადმინისტრატორებს ეს უკანასკნელი მოვლენა ავიწყდებათ და ისინი ანგარიშს არ უწევენ მუშათა ორგანიზაცებს. ამის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ჩვენი ქალაქის თვითმართვ. მოსამსახურეთა კავშირები. მიიღო რა ყოველივე ეს მხედველობაში კრებამ გამოიტანა, შემდეგი რეზოლიუცია: ფრაქციამ უნდა აწარმოოს პარტიული და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და უხელმძღვანელოს პროფ. კავშირს. მან უნდა შეთანხმებით იმოქმედოს ქალაქის საბჭოს სოც.-დ. ფრაქციასთან და დარაჯათ უდგეს ადმინისტრაციის მოქმედებას, რომ ის არ იყოს მიმართული მუშათა ინტერესების წინააღმდეგ. ხელმძღვანელ ბიუროში არჩეულ იქნენ: 1) დგებუაძე (ქალ. კავშირ.) 2) ბადრიძე, 3) ლოოია, 4) ვ. ინწკირველი, 5) პ. ბერეჟიანი, 6) გიორგობიანი, 7) გოგინაშვილი, 8) ცოლიძე, 9) კამკამიძე; კანდიდატები: 1) მაჩაიძე, 2) პარისმანაშვილი, 3) კავსაძე. ბიუროს დაევალა დაეხმაროს აღმასრულებელ კომიტეტს.

ერმოკრატი.

# მუშათა შორის

**თფილისი.** (მიტროფანე ლაღიძის ქარხანა). ქარხნის მეპატრონე ბატონ მიტროფანე ლაღიძეს და ქარხნის გამგე მიხეილ ლაღიძეს, მუშებთან მუდამ ცუდი განწყობილება ჰქონდათ. დღესაც მუშის პიროვნება ფეხქვეშაა გათელილი. ბატონმა ლაღიძემ სწორეთ ფრონტის დღეს დაითხოვა რამდენიმე მუშა. ჩვენ, ამხანაგებმა, დავავალეთ ერთ მუშას განემარტა ქარხნის გამგისთვის იმ დღის მნიშვნელობა და ის, რომ სეზონის მოთხოვნილებისათვის ჯერ კიდევ საჭირო იყვნენ მუშები. ბ. მიხ. ლაღიძემ შემდეგი უპასუხა ჩვენ დელეგატს: რა უფლება გქონდა ნება დაურთველად შემოსულიყავი ჩემთან? ამით არ დაკმაყოფილდა და დაუმატა: მე არ მსურს მოვისმინო მუშების თხოვნა, რადგანაც დღევანდელი მუშები არიან მცარცველ-მგლეჯელებიო.

შეურაცყოფილი.

---

**თფილისი.** 11 ენკენისთვეს შესდგა სასაკლაოს მუშა-მოსამსახურეების კრება. თავმჯდომარეობდა გოგინაშვილი. დღის წესრიგი იყო შემდეგი: 1) მოხსენება ადგილობრივი ბიუროსი, 2) არჩევა სარევიზიო კომისიისა, 3) პურზე ფასის მომატება და სხვა. ბიუროს შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ხოფერია, რომელიც აცნობს კრებას ბიუროს შემადგენლობას. აცნობს ბიუროს მიერ შემუშავებულ რეგლამენტს, რომელსაც კრება ერთხმად ამტკიცებს. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს შემდეგი ამხ.: 1) ჩულანოვი, 2) გონჩაროვი, 3) ცატუროვი. პურზედ ფასის გადიდების შესახებ კრებამ დაადგინა: ეთხოვოს ქალაქის თვითმ. მუშ.-მოსამსახ. კომიტეტს, იშუამდგომლოს ქალაქის თვითმართვ. წინაშე, რომ პურზე ძველი ფასები დარჩეს, ანდა იქ ეს ჯამაგირები მომატებული ფასების შესაბამად.

მდივანი პ. ბოკერია.

---

**პროფესიონალურ კავშირის „პროლეტარიატი ნემსის“ გარშემო.** 14 სექტემბერს, შრომის ბირჟის შენობაში მოწვეული იყო პროფესიონალური კავშირის „პროლეტარი ნემსის“ საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება, 2) გამგეობის ხელახალი არჩევა, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) არჩევა სარევიზიო კომისიის, 5) რვა საათის სამუშაო დღე, 6) ნაჭრობით მომუშავეთა საკითხი და 7) მიმდინარე კითხვები. კრება გაიხსნა ამხ. ზელქაძის თავმჯდომარეობით.

მოხსენებას აკეთებს გამგეობის მოქმედების შესახებ შჩერბაკოვი, რომელიც დაწვრილებით აშუქებს გამგეობის საქმიანობას, ემხრობა მას და ამბობს, რომ ... „მუშათა გზის“ გამოცემა გამოიწვია იმან, რომ არ არსებობდა ორგანო, რომელიც ნამდვილი გამომხატველი ყოფილიყოს მუშათა მდგომარეობის; აგრეთვე არ ჰქონია ალაგი გამგეობის მოქმედებაში ვიწრო პარტიულ ფრაქციულ მუშაობას.

... წინააღმდეგ გამოდიან და უმტკიცებენ, რომ პროფესიონალურ კავშირს „პროლეტარ ნემსის“ 24 ივლისის საზო-

გადო კრებაზე, როდესაც გამგეობაში კომუნისტები გავიდნენ, საზოგადო კრებას ეფიცებოდნენ, რომ ისინი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევენ მუშათა პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვები იყო, საქმით კი მათ გადააჭარბეს ყოველივე მოლოდინს. კავშირი გადააქციეს კომუნისტების ბიუროთ, გამოსცეს ჟურნალი იმ დროს, როდესაც არსებობს საუკეთესოთ დაყენებული, პარტიულ ქინიანობის გარეშე მდგომი, მთელი მუშათა ინტერესების დამცველი და გამომხატველი ცენტრალური ორგანო „მუშათა ცხოვრება“.

საერთოდ გამოირკვა, რომ მათმა მოქმედებამ დაანგრია კავშირი. ყველა დარგის მუშებმა მიიღეს სატარიფო პალატის 35 პროც. მომატება, ამ კავშირის გამგეობას კი ყურიც არ შეუბერტყნია, რაც ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობას აუარესებს.

არჩეულ იქნა ახალი გამგეობა: მელქაძე, მალანია, ბაკუმენკო, ასატუროვი, ოგანოვი, კოპალეიშვილი, შიუკაშვილი, გოჩიტაშვილი და დრაპოვიჩი; კანდიდატებად: ... ქრუაშვილი და ახვერდოვი. სარევიზიო კომისიაში: მალხაზოვი, ყიფიანი და ვასაძე, კანდ.: ხმალაძე და მერკვილაძე. სხვა საკითხები გადიდო შემდეგი კრებისთვის.

ო. მაშოშვილი.

# პროვინცია

**მარტვილის რაიონი (სამეგრელო).** მარტვილის რაიონი მოკლებულია ცენტრის ყოველგვარ გავლენას. მისი ცენტრი (სენაკი) არასოდეს არ აქცევდა სათანადო ყურადღებას მას და არც დღეს აქცევს. ეს რაიონი წარმოადგენს, რაღაც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომლის მეფეა რაიონის მილიციის უფროსი. აი ეს გარემოება ქმნის ისეთ პირობებს, რომლის მიხედვით რაიონის საზოგადოების კომისართა ავ-კარგიანობაზეა ამ რაიონში დამოკიდებული, ხალხის რევოლიუციის და მთავრობისადმი განწყობილება. სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრით რაიონი მეტისმეტ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. რაიონს ვერ იქნა და ვერ ეღირსა კარგი კომისარი. ამ ექვსი თვის განმავლობაში რამოდენიმე კომისარი გამოიცვალა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოდგა. საერთოდ ადმინისტრაცია რაიონში ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ამ უკანასკნელ 5—6 თვის განმავლობაში 16 ბოროტ-მოქმედებას ჰქონია ადგილი და ადმინისტრაციას არც ერთი არ აღმოუჩენია. ეს პირდაპირ დანაშაულია. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოება: ხალხი თვითონ აღმოაჩენს ბოროტ-მომქმედს, გამომძიებელი კი თავდების ქვეშ გაუშვებს მას. ეს მეტის მეტ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მასაზე, როცა ბოროტ მომქმედს მეორე დღესვე თავის გვერდით დაინახავს დაუსჯელად. არა ერთი და ორი შემთხვევა იყო ასეთი თავდებობის წესით ბოროტ-მომქმედის ციხიდან განთავისუფლებისა.

რაც შეეხება გადასახადებს, აქ საჭიროა ხალხისთვის ახსნა-განმარტება ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის და იმისი, რომ გადასახადი ერთ დროულია, რომ მთავრობა ცდილობს პროგრესიული გადასახადების შემოღებას და სხვ. ასეთი ახსნის შემდეგ გლეხები დარწმუნდებიან გადასახადის აუცილებლობაში და კიდევაც გადიხდიან. მე მქონდა შემთხვევა ამეხსნა გლეხებისთვის ყველაფერი ეს, რის შემდეგ შეგნებულმა გლეხებმა წამოიძახეს: „ჩვენი მთავრობა ჩამოსაგდები იქნებოდა, რომ გადასახადები არ შემოეღო და ბონების ბეჭდვა განეგრძოო“. სამწუხაროთ უნდა ვსთქვა, რომ რაიონში არავითარი ორგანიზაციული პარტიული მუშაობა არ არის. თვითონ ადგილობრივი ინტელიგენტები მისცემიან სალათას ძილს. დ მარტვილში, სადაც 25 მარტო მასწავლებელია, ორი გაზეთი თუ მოდის.

მარტვილის სამკითხველო დაკეტილია. შენობა აგერ-აგერ წაიქცევა. ხალხი ინტელიგენციას შეჰყურებს და მისგან გამოელის მდგომარეობის გარკვევას.

აგრარული საკითხი რაიონში მწვავეთ არ სდგას. აქ თითქმის არავის ჩამოერთმევა მიწა (თუ გამონაკლისებს არ მივიღებთ) საერთოდ მიწის ნაკლებობისა გამო.

წვრილი ერთეულები არსებობენ, მხოლოდ მათ არა აქვთ არავითარი ინსტრუქცია, სამოქმედო გეგმა და ამ ჟამად სოფლის კომისრის მოვალეობას ასრულებენ. ხალხი ხშირად იტყვის ხოლმე: „წინეთ ერთი კომისარი გვყავდა, ახლა კი ხუთიაო“. ეს გარემოება სახელს უტეხს წვრილი ერთეულების იდეას და სამაზრო გამგეობა უნდა შეეცადოს, რაც შეიძლება ჩქარა მოუღოს ბოლო ასეთ გაუგებრობას და გამოარკვიოს მათი მოვალეობა ფუნქციები.

საჭიროა აგრეთვე ერთ-ერთი დამფუძნებელი კრების წევრი (სენაკის მაზრიდან) ნამოიარდეს რაიონს, გასწმენდდეს ადმინისტრაციას და ხალხს გააგებინებდეს დამფუძნებელ კრების არსებობა მუშაობას.

მ—ი.

---

**ასკანა (გურია).** ასკანის მცხოვრებნი ნ. ქლენტი და ივლ. გუჯაბიძე გამგზავრებულან თფილისში. აქ მათ მიუმართავთ ზოგიერთ ასკანის მკვიდრთათვის და განუცხადებიათ, რომ ასკანაში შენდება სკოლის შენობა და ისინი არჩეულნი არიან ხალხის მიერ დახმარების მოსაგროვებლათ.

თფილისში მყოფ ზოგიერთი ასკანლების დახმარებით მათ მოუგროვებიათ 15,000 მანეთამდე და უკანვე წამოსულან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არც არჩეულნი ყოფილან და არც საზოგადოებას დაუვალებია მათთვის ფულის მოკრება. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოკრებილი ფული ზემოაღნიშნულ პირებს სკოლის შენობისათვის არაფერი მოუხმარებიათ. ეს სრულიათ შემთხვევით გამოირკვა, როდესაც თფილისში მყოფი ერთი ასკანელი ჩამოვიდა სახლში და განაცხადა, რომ მან 300 მანეთი გადასცა აღნიშნულ პირებს თავის ნაცნობთა შორის შეგროვილი. ეს გამოირკვა ფულის მოგროვებიდან ხუთი თვის შემდეგ. ამ ამბავმა მთელი საზოგადოება ააშფოთა და დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია ხალხში. ყველა დარწმუნებული იყო, რომ დამნაშავენი სასტიკად დაისჯებოდენ. ცხადია, რომ აქ შედეგი ერთი უნდა ყოფილიყო: ადგილობრივ ერობას უნდა მოეხდინა სასტიკი გამოძიება, გამოექვლია, თუ ვინ აღჭურვა შესაფერისი მოწმობებით ეს პირები და ვინ მისცა მათ საშუალება ხალხის სახელით ასეთი შანტაჟი მოეხდინათ, რადგანაც ცხადია, რომ უმოწმობოთ ისინი ვერ წავიდოდნენ ფულის მოსაკრებათ და ყოველივე ამის შემდეგ ყველა დამნაშავენი პასუხის გებაში უნდა ყოფილიყვნენ მიცემული.

ამის ნაცვლათ აი რა მოხდა: ასკანის საერობო თვითმართველობის გამგეობის თავმჯდომარეს ერობის ხმოსანთა ერთ ერთ სხდომაზე უნდოდა ამ კითხვის შესახებ შეკითხვის შეტანა, რათა საბჭოს აერჩია სპეციალური კომისია სასტიკი გამოძიების მოსახდენათ. მაგრამ საბჭოს თავმჯდომარემ ამის საშუალება არ მისცა მას და ეს კითხვა დღიურ წესრიგიდან მოხსნა. მიზეზათ ის განუცხადა გამგეობის თავმჯდომარეს, რომ გამოძიება სწარმოებს ამ საგანზეო.

გამგეობის თავმჯდომარემ კერძოთ მოახდინა წინასწარი გამოძიება ამ საქმეზე და შემდეგი გამოირკვა: როგორც ამ საგანზე პირველათ მითქმა-მოთქმა შეიქნა ხალხში, ზემოაღნიშნულ პირებთან მოლაპარაკება გაუმართავთ ასკანის საზოგადოების ერთ ერთ სოფლის, სახელდობრ მთის პირის სკოლის მასწავლებლებს ავთ. შარაშიძეს და პატრიკი თალაკვაძეს, რომლებსაც ფულის მომკრეფთათვის ჩამოურთმევიათ 6000 მან. ვალდებულების ხელწერილი. მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი ის არის, რომ ამ მასწავლებლებს სასკოლო ბეჭედ დასმული ახალი მოწმობა მიუციათ აღნიშნული პირებისათვის, რომლებიც ხელახლათ გამგზავრებულან ფულების მოსაკრეფაო, ალბათ ეხლა სხვა რომელსამე ქალაქში. სამწუხარო ის არის ყველაზე უფრო, რომ ერთი ამ მასწავლებელთაგანი, ავთანდილ შარაშიძე არის ასკანის საერობო ხმოსნების საბჭოს თავმჯდომარე და მეორე, პატრიკი თალაკვაძე კი ერობის გამგეობის წევრი. ისინი გამოუტყდენ ერობის თავმჯდომარეს იმაში, რომ მათ მისცეს მეორეჯერ მოწმობა ქლენტსა და გუჯაბიძეს. რას ასახელებენ ამის მიზეზათ და რით ხსნიან ისინი თავიანთ მოქმედებას, ეს არ ვიცით ჯერ და ვერც წარმოგვიდგენია რაიმე ჯეროვანი საბუთი ამის გასამართლებლათ. ეხლა ცხადია, რომ საბჭოს თავმჯდომარე ა. შარაშიძე ალბათ „ტაქტიკური მოსაზრებით“ ხელმძღვანელობდა, როცა ამ საგანზე შეკითხვის საშუალება არ მისცა გამგეობის თავმჯდომარეს.

ამის შემდეგ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ამას ვუწოდოთ ნება დართული შანტაჟი. საჭიროა ამ საგანზე მოხდეს დაუყონებლივი სასტიკი გამოძიება, უნდა გამოირკვეს ვისგან ჰქონდა ქლენტსა და გუჯაბიძეს პირველად მიცემული მოწმობები, რა კავშირი აქვთ ა. შარაშიძეს და პ. თალაკვაძეს ამ მოგროვილ ფულებთან, ფულის მომგროვებლებთან და სხვ... ხალხში კი ათასნაირი ხმები ტრიალებს, რითაც ილანძღება, როგორც ერობა, ისე სხვა ორგანიზაციებიც.

ამ დღეებში მოწვეულია საბჭოს კრება, სადაც დაისმება ამ ბოროტ-მოქმედებაზე საკითხი და აგრეთვე მეორე საყურადღებო ბოროტ მოქმედებაზეც, რომელიც აღმოჩენილა ადგილობრივ ადმინისტრაციის ნამოქმედარიდან. მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა დამნაშავეთა გამორკვევა და მათი სასტიკათ დასჯა.

ჩიბურდანიძე

---

**ახალქალაქის რაიონი (გორ. მაზ.)** 31 აგვ. 1919 წ. სოფელ ახალქალაქში მოხდა ამავე რაიონის სახ. გვარდიელთა კრება, რომელზედაც დაესწრო გორის სამაზრო სახალხო გვარდიის შტაბის წევრი ამხ. გ. მინაზაროვი. კრებაზედ გამოცხადდა 95 გვარდიელი (სულ ახალქალაქის რაიონში ძველი სიით ირიცხება 250—300 კაცამდე გვარდიელი), რომელთაც უნდა აერჩიათ ერთი სახალხო გვარდიის რწმუნებული და მისი მდივანი რაიონში. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დავით კალატოზიშვილი, მდივნათ სოლომონ კვალიაშვილი. თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით მიმართა გვარდიელთა კრებას, გააცნო კრების მოწვევის მიზანი და მოუწოდა გვარდიელებს, თავიანთ წმინდა მოვალეობის ასრულების დროს, შეგნებული და ერთსულოვანი მოქმედებისკენ თავისუფლებისა და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაცავად.

შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა მომენტზე ამხ. მინაზაროვმა. მან გააცნო გვარდიელთა კრებას დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენი რესპუბლიკისა.

სახ. გვარდიის რწმუნებულად ახალქალაქის რაიონში არჩეული იქმნა დ. ბიძინაშვილი, მის კანდიდატათ დ. რევაზიშვილი, მდივნათ ს. კვალიაშვილი. გარდა ამისა არჩეულ იქნა ოთხი გვარდიელი, სახელდობრ: ვასო ზარიძე, დათა ბიძინაშვილი, დათა რევაზიშვილი და სანდრო ტყემელაშვილი, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას გორის სამაზრო სახალხო გვარდიის შტაბის არჩევნებში, და ერთიც თედო ჯანელიძე, თბილისში სახალხო გვარდიის პირველ ყრილობაზე დასასწრებლათ.

გლეხი.

---

**წიაღობანი (სამტრედიის რაიონი).** 31 აგვისტოს შესდგა ადგილობრივ მცხოვრებთა საზოგადო კრება, მელიტონ თევზაძის თავმჯდომარეობით კრებაზე მოხსენება გააკეთა მიმდინარე მომენტზე დამფ. კრების წევრმა, სარდიონ თევზაძემ. მომხსენებელი შეეხო მთავრობის და დამფუძნებელი კრების მოქმედებას; გააცნო კრებას ის კანონები, რომლებიც შეიმუშავა დამფ. კრებამ. დამფუძნებელი კრების მუშაობას და მის ტაქტიკას კრება სრულიად იზიარებს. ორატორი შეეხო აგრეთვე ჩვენსა და რუსეთის დამოკიდებულობას, კრებას ვრცლად განუმარტა რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, თუ რა დღეშია ჩავარდნილი რუსეთის პროლეტარიატი. ორატორმა განმარტა მიწების საკითხი და მის ერთდროულ გადასახადში აუცილებლობა აღიარა, რაშიაც კრება სავსებით დაარწმუნა. ხალხში დიდი შეხლა შემოხლა ყოფილა ამის შესახებ, მაგრამ დეპუტატმა ვრცლად აუხსნა კრებას, ერთდროული მიწის გადასახადის წესი და მიზეზი, თუ რამ გამოიწვია ეს გადასახადი. აგრეთვე აუხსნა კრებას, რომ მიწა არის სამ კატეგორიათ დაყოფილი და ყოველ კატეგორიას თავისი შესაფერი გადასახადი აქვს შემოღებული.

ნიკ. მერისპირელი.

---

**სოფ. წიაღობანში** ირაკლი წერეთლის სახელობაზე დაარსდა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომლის მიზანი არის ხელი შეუწყოს საერთოდ მშრომელი მასის და კერძოთ ადგილობრივ მცხოვრებლების განვითარება გათვითცნობიერებას. წიგნთ საცავ სამკითხველოს ჰყავს თანამგრძნობთა წრე. ვინაიდან ჯერჯერობით სამკითხველო მეტად ნორჩი, ღარიბი და მატერიალურად სუსტია, იძულებული ვართ მოგმართოთ კერძოთ წიაღობნის შვილებს და საერთოდ კი ყველა გულშემატკივართ ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ისინი არ დაიზარებენ თავიანთი წვლილის გამოღებას და შეძლებისდაგვარად დახმარებას აღმოუჩენენ, ისეთ სიმპატიურ კულტურულ დაწესებულებას, როგორიცაა ჩვენი წიგნთ საცავ-სამკითხველო შემოწირულებანი მიიღება, როგორც ფულით, აგრეთვე სხვადასხვა წიგნებით, გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა სურათებით ჟურნალ-გაზეთების გამოწერით და სხ. ყოველგვარი შემოწირულება თფილისში მცხოვრებლების მიერ მიიღება დამფუძნებელი კრების წევრთან სარდიონ თევზაძესთან ამ მისამართით: სასახლე, სოციალდემოკრატიული ფრაქცია. ხოლო აქ კი შემდეგი მისამართით: ქალ. სამტრედია, სავაჭრო „ბუდკა“-ში დიმიტრი ჯოჯუას, წიაღობნის უფასო სამკითხველოსთვის.

პატივისცემით საკითხველოს მზრუნველი კლიმენტი თევზაძე.

P. s. სხვა გაზეთებსაც უმორჩილესად ვთხოვთ გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

კ. თ.

# წერ. რედაქციის მიმართ

ვინაიდან „სახალხო საქმე“-ს № 603 წერილში, სათაურით—„ვისი ბრალია“, სხვათა შორის სრულიად უდანაშაულოდ შებღალულია სახელი წითელი ჯვრისა და კერძოდ კი მისი მთავარ სამმართველოს წევრის მ. მგალობლიშვილისა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მივაწოდოთ მკითხველ საზოგადოებას შემდეგი ცნობა ახსნა-განმარტება.

უპირველესად საჭიროა აღინიშნოს, რომ ყოველ ნაირი საკითხი წითელ ჯვრის მთავარ სამმართველოში მიიღება ხმის უმეტესობით და არა რომელიმე მის წევრის სურვილისამებრ და მეორედ ისიც, რომ იმ დროს, როდესაც წითელ ჯვრის საწყობიდან საქონელი იცემოდა, ამხანაგი მ. მგალობლიშვილი კი არ განაგებდა წითელ ჯვრის საქმეებს, არამედ ის იყო მთავარ სამმართველოს ერთი ცამეტთაგანი წევრი.

აგრეთვე სიმართლეს მოკლებულია ისიც, ვითომც წითელი ჯვრის გამგეობა განსაკუთრებით სწყალობდა და უხვად აძლევდა საქონელს მწვანე ყვავილის კოოპერატივ „დახმარება“-ს. აღნიშნულმა კოოპერატივმა წითელ ჯვრის საწყობიდან მიიღო საქონელი მხოლოდ ერთხელ და ისიც კოოპერატივი „დახმარება“-ს თავმჯდომარის სახელზე 32950 მან. ღირებულებისა. იმავე წერილში დასახელებულ კოოპერატივ „დახმარებას“ წარმომადგენელმა მდგვარელმა გაიტანა საქონელი არა მწვანე ყვავილის კოოპერატივ „დახმარება“-სთვის, არამედ რაჭის მაზრის სოფელ მოედნის კოოპერატივი „დახმარება“-სთვის, და ასე სხვადასხვა კოოპერატივებმა.

აქედან ნათლადა სჩანს, რომ წითელ ჯვარს არც ერთ კოოპერატივისთვის უპირატესობა არ მიუცია და თუ გაზეთში კოოპერატივი „დახმარება“ ქ. მწვანე ყვავილისა ორჯერ არის მოხსენებული, ეს შეცდომის შედეგია, ვინაიდან კოოპერატივები „დახმარებას“ სახელწოდებით ბევრი ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში, ხოლო რაც შეეხება პრინციპიალურ მხარეს გაყიდვისას, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს წითელ ჯვრისთვის არ მიუმართნია წინადადებით, რომ არ მიეცეს კოოპერატივებს საქონელი კავშირის გარეშე. პირიქით წითელმა ჯვარმა საველე საწყობის გამგის პირით აცნობა კოოპერატივთა კავშირს, რომ მათ წაეღოთ საქონელი საწყობიდან, მაგრამ მათმა წარმომადგენელმა იმისთანა მცირე ფასები წარმოგვიდგინა, რომ წითელ ჯვარს არ შეეძლო წამოყენებულ ფასებში საქონლის დათმობა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნა გაცემული საქონელი სხვადასხვა დაწესებულებებზე, მაგალითად ერობებს, სახალხო გვარდიას, ქალაქის თვითმართველობებს, სამხედრო უწყებას, კოოპერატივებს და როცა მაგათ არ მიჰქონდათ, იმ შემთხვევაში კერძო პირებსაც.

უმორჩილესად ვთხოვთ სხვა გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

წითელი ჯვრის მთავარ სამმართველოს მონდობილობით წევრნი:

ექ. ნ. მელიქიშვილი.

ექ. ი. ცინცაძე.


ექიმი ლ. ა. ხარაძიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის ... 

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—7 ს-დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

ექიმი ა. ი. ძუთათელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

კბილის ექიმი თ. ს. ცხოვრებაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება დილით 9—2 საღამოს. 5—6. კალოუბნის ქუჩა № 8. ტელეფონი 13—35. (10—9)

ექიმი მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამართი: ... ქუჩა № 33.

ექიმი ქალი რ. მ. ... -ხახანაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლლეჯისა იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბჭოს დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5 6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—...

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი მ. ც. მგალობლიშვილი
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ ... ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. მ. ...
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასიათდა წამლობა Xს სხივებით, დიდი საეკრანოიდი და არსევალი ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92

ექიმი ა. დ. ძიძიგურია
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
დეზინფლობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილ 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

წიგნების გამომცემლობა
**ალ. არაბიძის** და ამხ.
თფილისში. საწყობები წერა კითხ. გამ. საზ. წიგნის მაღაზია და ალ. არაბიძესთან, მთავრობის სტამბა, კალოუბნის ქუჩა № 5. გამოვიდა და იყიდება
**ალ. წერეთლის** წიგნი
**მსოფლიო ისტორია**
დაწყებითი კურსი. ნაწილი პირველი. ძველ საუკუნეთა ისტორია, ორმოცდაექვსი სურათით
მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, ფასი 25 მან.

ამ დღეებში გამოვა
1) ი. ნიკოლაიშვილის წიგნი
მოკლე ქართული **გრამატიკა**
2) დ. უზნაძის წიგნი
**ძველი ისტორია**
1—1


# განცხადებანი


**იყიდება**
ორი სავარძელი (კრაოტი) თავისი საფენით, პატარა საყინულე, კომოდი, შკაფი, ჭურჭელი, თუთიას საბანაო თავის გასათბობით და სხვა საოჯახო წვრილმანი. მისამართი პლეხანოვის პრ. № 150, ბინა მაკარევიჩისა. 1—1

ექიმი ბესარიონ პაპავა
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი მ. მ. მუხაძე.
დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 საათ. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

**გზათა ტეხნიკოსების მოსამზადებელი კურსები**
ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაიწყება კურსებზე მეცადინეობა გზათა ტეხნიკოსების მოსამზადებლათ. კურსები რვა თვიანია. კურსებზე ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება უმაღლეს საინჟენერო სასწავლებლის კანცელარიაში ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 91.
2—1
კურსების გამგე ინჟენერი გ. ვ. შერმაზანოვი.

**ახალი კერძო ქართული გიმნაზია**
წელს იხსნება ორი მოსამზადებელი და პირველი, მეორე და მესამე კლასები. ყველა ცნობების და თხოვნის მიღება შეიძლება ბებუთოვის ქუჩაზე № 56, ზემო სართული. (5—2)

**საამფიაქო საზღვარგარეთელ საქონელს**
ბიფუმ ფასებში აწოდებს აფთიაქებს და საპარფიუმერიო საწყობებს **ი. გ. ლიბერზონი**
საწყობთან არის საზღვარგარეთული კოსმეტიკის განყოფილება. ადრესი: განოვის ქ. № 7—ეზოში. ღიაა დილის 9—3 საათ. და საღ. 5—7 საათ. (1—1)

წიგნის მაღაზია „განათლებაში“ ოლღას ქ. № 6.
და **ჩოხატაურში** იყიდება **რვეულები** და **სახელმძღვანელოები.** (6—6)